

კორიანის მოხმარებისა და მოვლის  
წესები

Next Building Technologies Ltd.

4/16/2010

Georgia

## თუ კორიანი ახლახანს გესტუმრათ...

კორიანი არის ელევანტური, ჰიგიენური, ხანგძლივი მოხმარების მყარი ზედაპირის მასალა, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სამზარეულოს ზედაპირის მოსაპირკეთებლად, სააბაზანოს მაგიდად, საშხაპის კედლად, ავეჯის დასამზადებლად და სხვადასხვა მოხმარების საგნებისთვის.

ეს სახელმძღვანელო უპასუხებს ყველა თქვენს შეკითხვას თუ როგორ გამოიყენოთ და მოუაროთ კორიანს.

მსგავსად სხვა დეკორატიული მასალებისა, კორიანი დააკმაყოფილებს თქვენს სურვილებს მასთან სწორი მოპყრობის პირობებში.



## როგორ გავწმინდოთ კორიანის სამზარეულოს ზედაპირები და ნიჟარები

კორიანი ისევე როგორც ნებისმიერი მოსაპირკეთებელი მასალა საჭიროებს მოვლას, თუმცა იოლია მისი პირვანდელი იერის შენარჩუნება!

- ✓ ყოველდღიური მოვლისთვის თავდაპირველად სცადეთ მარტივი გზა!



კორიანი არაფოროვანი მასალაა და ამიტომ სითხე ვერ აღწევს მასში. ზედაპირის გასაწმენდად გამოიყენეთ მხოლოდ სველი ტილო და ჭურჭლის სარეცხი ჯელი. გაწმინდეთ წრიული მოძრაობით. თუკი დალაქიანებული ადგილი საჭიროებს მეტ ყურადღებას, მიმართეთ ჩვენს მიერ მოცემულ ინსტრუქციებს.

- ✓ კვირაში ერთხელ ან ორჯერ თქვენს ნიჟარას მოუწყვეთ სასიამოვნო დასუფთავება.

სადეზინფექციო საშუალებით ან მყარი ზედაპირის საწმენდით გაწმინდეთ თქვენი ნიჟარა ცხიმისა და ზეთის ნარჩენებისაგან. ამისთვის გამოიყენეთ პულივიზატორი, რომელშიც მოთავსებული იქნება 3/4 სამზარეულოს მათერებელი სითხე და 1/4 წყალი. მოაპკურეთ სითხე ნიჟარაზე და ასე დატოვეთ რამდენიმე საათის განმავლობაში. დროის ხანგძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 16 საათს. ნიჟარა გარეცხეთ ან გაწმინდეთ სველი ნაჭრით. მცირე ძალისხმევით შემდეგ თქვენი ნიჟარა კვლავ იბრწყინებს სისუფთავით.

- ✓ ჩამჯდარი ლაქების წინააღმდეგ:



ძმრის, ყავის, ჩაის, ლიმნის წვენის, საღებავის, კეჩუპის, წითელი ღვინის ან ბოსტნეულის წინწკლების (ლაქების) შემთხვევაში, პირველად სცადეთ მარტივი მეთოდი. თუ ლაქა კვლავ რჩება ზედაპირზე, მაშინ გამოიყენეთ რეზინის სახეხი ღრუბელი და სადეზინფექციო საშუალება ან ამიაკის შემცველი მყარი ზედაპირის საწმენდი.

მხოლოდ ძალიან ჩამჯდარი ლაქების შემთხვევაში (შროშანის მტვერი ან ზაფრანა) დალაქავებული ადგილის გასაწმენდად, ასევე ნაკაწრის დროს გამოიყენეთ რეზინის სახეხი საშუალება და სამზარეულოს მათეთრებელი. დამუშავებული ადგილი რამდენჯერმე გაწმინდეთ თბილი წყლით და გაამშრალეთ რბილი ნაჭრით.



ონკანების ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარშემო ხისტი წყლით გამოწვეული ნადების გაჩენის შემთხვევაში გამოიყენეთ რეზინის სახეხი ღრუბელი და ნადების მოსაშორებელი საშუალება. დამუშავებული ადგილი რამდენჯერმე გაწმინდეთ თბილი წყლით და გაამშრალეთ რბილი ნაჭრით. ზედაპირზე კვლავ აღდგება კორიანის მთელი ბრწყინვალეობა.

## რას უნდა ვერიდოთ. . .

### ✓ ძალიან მაღალი ტემპერატურა:



ცხელი ჭურჭლის დასადგამად ყოველთვის გამოიყენეთ სითბოსგან დამცავი რბილი სადები, სამფეხა რეზინის ფეხებით ან დამცავი ჭილოფი. ან დაელოდეთ ჭურჭლის გაგრილებას ქურაზე. არ დადოთ გავარვარებული ლითონის, განსაკუთრებით თუჯის ჭურჭელი კორიანზე ან ნიჟარაში. მსგავსი სიმბურვალე აზიანებს ნებისმიერ ზედაპირს. (კორიანის თბო დამუშავების ტემპერატურა 170 გრადუსია, ამ ტემპერატურაზე მასალა რბილდება და იცვლის ფორმას).

### ✓ ნაკაწრები:



მსგავსად სხვა მასალებისა ყოველდღიური გამოყენების შედეგად კორიანზეც ჩნდება უმნიშვნელო, პატარა ნაკაწრები. ამის ასარიდებლად: არასდროს დაჭრათ პირდაპირ კორიანზე, რადგან შედეგად მიიღებთ ნაჭდევეს ზედაპირზე. ყოველთვის გამოიყენეთ საჭრელი დაფა (თუნდაც კორიანისგან დამზადებული);

მუქი, ღრმა პიგმენტური ფერები შედარებით უფრო ავლენენ ნაკაწრებს. მტვერი და ჩვეულებრივი ხმარებით მიღებული ნაკაწრები უფრო წაკითხვადია მუქ და ერთფეროვან ფაქტურებზე ვიდრე ღია და ჭრელ ფაქტურებზე.

### ✓ ქიმიური წინწკლები (შხეფები, ლაქები)



ძლიერი ქიმიური შხეფები (სახატავი ექსტრაქტორი; ფუნჯის, ლითონის, ღუმელის საწმენდები; საწმენდები, რომლებიც შეიცავენ მეთილინის ქლორიდს; წყლის მილის აზოტმჟავის შემცველი საწმენდი; ფრჩხილების ლაქის მოსაშორებელი აცეტონი და სხვა.) დაუყოვნებლივ უნდა გაირეცხოს საპნიანი წყლით.

ფრჩხილების ლაქი დალაქიანებული ადგილიდან ამოაშორეთ უაცეტონო ლაქების ამომყვანით, რის შემდეგაც დამუშავებული ადგილი გადარეცხეთ წყლით. ქიმიკატის ხანგრძლივი დროით დატოვებამ შესაძლოა დააზიანოს ზედაპირი.

დამატებით ინფორმაციას ქიმიური ლაქების, მისი გაწმენდისა და მოვლის შესახებ იხილავთ კორიანის სპეციალურ მონაცემთა ფურცელზე, რომელიც განთავსებულია ჩვენს ვებ გვერდზე.

✓ **რაც არ უნდა მოხდეს, ნუ შეშინდებით!**

კორიანი არის მყარი და რესტავრირებადი საგანი. ამდენად მისთვის ნებისმიერ შემთხვევაში დამახასიათებელია განახლება-აღდგენა. დაზიანებები, მათ შორის დარტყმით, მაღალი ტემპერატურით ან ქიმიკატებით გამოწვეული აღდგენადია და ყოველთვის მიიღებთ განახლებულ ერთიან, ორიგინალურ, გლუვ, ჰიგიენურ მყარ ზედაპირს.

დამატებითი კითხვების გაჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით.